



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათო-ყაენი

ბათო-ყაენი, ბათუ, საინ-ხანი (1208 – 1255), მონღოლი ხანი (ყაენი), ჭურის ძე, ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი.

მამის სიკვდილის (1227) შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჭურის ულუსს. 1236 დაიპყრო დეშტი-ყივჩაყი (ყივჩაყთა ველები). 1237-43 მეთაურობდა აღმ. ევროპაში ლაშქრობას, რ-ის დროსაც უკიდურესი სისასტიკით გაითქვა სახელი; რუსი ხალხის წინააღმდეგობამ, რიაზანის, მოსკოვის, ვლადიმირის, კოტელსკის, კიევისა და სხვა ქ-ების გმირულმა დაცვამ საგრძნობლად დაასუსტა მისი ლაშქარი.

1240 ბ-მა აღმ. ევროპაში – პოლონეთში, ჩეხიაში, უნგრეთსა და დალმაციაში ილაშქრა. მონღოლთა დიდი ხანის უგედეის სიკვდილის (1241 დეკ.) შემდეგ ბ. თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ჭურის ულუსში დაბრუნდა (1242 გაზაფხული). 1243 მდ. ვოლგის ქვემონელზე მან დააარსა ფეოდ. სახელმწიფო ოქროს ურდო (სატახტო ქალაქი სარაი-ბათუ). 1251 მისი მხარდაჭერით ყურულთამი იმპერიის დიდ ხანად მუნჯე აირჩია. ბ-თან ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს, რ-იც ამ დროს მონღოლთა დიდ ყაენს ემორჩილებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, საქართვ. დიდებულთა ნაწილს და მონღოლ ნოინებს საქართვ. მეფედ დასამტკიცებლად ბ-თან წარუგზავნიათ დავით VII გიორგი-ლაშას ძე. ბ-მა „კეთილად შეიწყნარა... მეფე დავითი“ და მანგუ ყაენთან წარავლინა ყარაყორუმსო – ამბობს მემატიანე.

ლიტ.: ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ ., ქართველი ერის ისტორია, (ნგ. 3), თბ., 1982 (თხ. თორმეტ ტომად, ფ. 3); Г р е к о в В. Д., Я к у б о в с к и й А. Ю., Золотая Орда и ее падение, М.-Л., 1950.